საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ხუთშაბათი, 23 სექტემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართული. წერილის ხელის მომწერთათვის ნახევარი ღირს 150 მან.

ფასი 8 მან.

№ 49 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 49

## ესეც ოპოზიცია!

შესანიშნავათ ჩაატარეს თავისი როლები დამფუძნებელი კრების ყველა ფრაქციებმა ევროპიელი ჯენტლმენების სტუმრობის დროს. ანსამბლი საუცხოვო იყო. თითეული მონაწილე გამსჭვალული იყო ფარსის დედა იდეით და მთელი ძალღონით უწყობდა ხელს მის განსახიერებას. „ოდელია, დ ლია, საქართველო ჩვენია“ —ეს იდეა კი არა, თვით ხორცშესხმული რეალობა იყო, რომელმაც თავისი მშვენიერებით ისე მოაჯადოვა პატივცემული პუბლიკა, რომ მთელი აქტის დროს გულაჩუყებული იმეორებდა იმავე გრძელ სიტყვებს.

დიახ, ასეთი საუცხოვო ანსაბლი ძნელი სანახავია თვით მოსკოვის სამხატვრო თეატრში. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ რაც გინდ თანასწორი ძალები გამოიყვანოთ სცენაზე და რაც გინდ ძლიერათ სჩანდეს რეჟისორის გამწვავი ხელი, დაკვირვებული თვალი უეჭველათ შეამჩნევს ერთ ცენტრალურ ფიგურას, რომელიც, თუნდ მცირე რამეებში, მაინც განსხვავდება სხვა მოთამაშეებიდან. მას სულაც არ შეაქვს თამაშში დისონანსი, პირიქით ის ხელს უწყობს თამაშის მთლიანობას.

ასეთი ცენტრალური ფიგურა დამფუძნებლ კრებასაც აღმოუჩნდა და ეს პირია ესერების წარმომადგენელი ბ. შენგელაია. რა იქნებოდა იმ დღის სანახაობა უშენგელაიოთ? რა პირდაღებული დარჩებოდენ სტუმრები ისეთი პარლამენტის ხილვით, სადაც ყველა, დიდი და პატარა ერთ „მამაო ჩვენოს“ აბულბულებს! რა გასაშტერებელ მოვლენათ მიიჩნევდენ ისინი იმ გარემოებას, რომ არც მარჯვნიდან და არც მარცხნიდან ოპოზიციის მცირედი სიოც კი არ ირხეოდა, სადაც თვით ვეშაპელის და გვაზავას პირით მართლმორწმუნე მენშევიკი ღაღადებდა!

რაც გინდა დაარქვათ ამ პატივცემულ კრებულს და პარლამენტი კი არ არის იგი—უეჭველათ იტყოდენ სტუმრები. პარლამენტი იმის პარლამენტია, რომ იქ მუდამ არის თუ ბრძოლა არა, ინტრიგანობა, პოლიტიკანობა, სიტყვიერი შეჯახ-შემოჯახება მაინც, უეჭველათ არის პოზიცია და არის ოპოზიცია ან მარჯვნიდან ან მარცხნიდან, ან ორივე მხრიდგან ერთად. აქ კი, თითქოს საზიარებლათ მომზადებული ინსტიტუტკები ისხდენ, ყველა ერთ კილოზე ბუტბუტებს: მრწამს უფალო და ვაღიარებ საქართველოს დამოუკიდებლობასო.

შენგელაიამ იხსნა საქართველოს პარლამენტი საეკლესიო კრებულის დაღისაგან. მან შეასრულა ოპოზიციის როლი და მისი სასახელოთ უნდა ითქვას, რომ ამით სულაც არ დაურღვევია ის სულგულის დამატკბობელი ანსამბლი, რომელიც ახასიათებს არა მარტო ამ დღის სხდომას.

დიდი რიხით აუწყა მან სტუმრებს, რომ ჩვენში შენდება ტიპიური ბურჟუაზიული სახელმწიფო, რომ რევოლიუციიდან გლეხობას გადიდებული გადასახადების მეტი არაფერი მიუღია, პროლეტარიატი ცოტა გვყავს და ისიც ითმენს მწვავე ეკონომიური მდგომარეობას, რომ ჩვენში დაკანონებულია სიკვდილით დასჯა, თავისუფლათ დათარეშობენ საგანგებო რაზმები, რომ ჩვენში აგრარული საკითხი გადაწყდა წინააღმდეგ ყველა სოციალისტური კონგრესების დადგენილებებისა და სხ.

ყოველივე ეს ოპოზიციათ კი არა, იქნება რევოლიუციათაც კი მოეჩვენა პარლამენტის სტუმრებს! მეტადრე, როდესაც ორატორმა მათაც კი პირში მიახალა: მეორე ინტერნაციონალი მოკვდაო. მაგრამ ალბათ მალე მიხვდენ, რომ ეს ოპოზიცია ძალზე მორჯულებულია და ის მხოლოთ პარლამენტის ფორმისთვის არსებობს. იგივე ოპოზიცია ესალმება მკვდარი ინტერნაციონალის წარმომადგენლებს, როგორც ევროპის სოციალიზმის ბელადებს, თან ანუგეშებს მათ, რომ თუმცა თქვენ მკვდარი ხართ, მარა არც მესამე ინტერნაციონალია მისაღებიო. დასასრულ ანსამბლის ინტერესებისათვის შენგელაიამ აღნიშნა, რომ მიუხედავათ აზრთა სხვა და სხვაობისა, ჩვენ ყველანი ერთნი ვართო.

წაჯიქ-უკუჯიქობათა თაიგულით იყო დამშვენებული შენგელაიას მიერ წარმოდგენილი ოპოზიცია. როგორიც პარლამენტი, ისეთი ოპოზიცია!

## სინდისიც კაი საქონელია

თანამედროვე ცხოვრებას ხშირად ეტყობა უცნაური დაღმეჯა, მოულოდნელი გრიმასები. არც გასაკვირია: რევოლიუციის მიწის ძვრამ ააფორიაქა ყველაფერი და ყოველივე კეთილი ბოროტებად აქცია, ბოროტება—სიკეთედ. და თუ თანამედროვე საზოგადოების ორი უძლიერესი, მძლავრი და ტონის მიმცემი კლასი პროლეტარიატი და ბურჟუაზია მაგრად ზის უნაგირში და მედგრადვე იცავს თავის პოზიციებს, სამაგიეროთ მათ შუა მოქცეული წვრილ ბურჟუაზიული კლასები და სოციალური ფენები თავიანთ ჩვეულებრივ კალაპოტიდან ერთიანად ამოგდებული არიან, წრიალობენ უკრუხოთ დარჩენილ წიწილებივით, ხან აქეთ ეხეთქებიან, ხან იქით, ხან ბურჟუაზიის კალთებს შეაფარებენ თავს და ხან პროლეტარიატის ბანაკს მიაშურებენ, თუმცა გამოუცნობელი მომავალი, სოციალისტური რევოლიუციის გრიგალი უფრო აშინებს და აფრთხობს მათ და ერეკება მათ უკან, ნაცად ბურჟუაზიულ ნავთსაყუდელისკენ, საიმედო და თბილ საბუდარისკენ.

ამ აწრიალებულ ხალხს რაღა თქმა უნდა არ მოეთხოვება მტკიცე რწმენა, შეურყეველი პრინციპი და ამის დაგვარად მოქმედება. მაგრამ, როგორც სჩანს, არ მოეთხოვება უბრალო მახსოვრობაც კი: გრიგალით ატაცებული წვრილბურჟუაზიული ბუმბლი დაქანაობს მხოლოდ მარცხნიდან მარჯვნით, და თუ მას ახსოვს რამე—ეს მხოლოდ ის, რომ მას ხელს არ აძლევს მარცხნით დასადგურება, რომ მისთვის უმჯობესია მარჯვენა ბანაკში სწორუფლებიანი წევრობა, მარა ისე კი, რომ მემარცხენე ჩამომავლობის ზოგი რამ უპირატესობა შერჩეს,—გარეგნულათ მაინც. და ასეთი უმაღლესი პოლიტიკისათვის უცილებელია ტრაბახი და გულმავიწყობა, გულმავიწყობა და ტრაბახი...

ჩვენს ოაზისში, რომელსაც ამ დღეებში მეტ სახელად „აზიის შვეიცარია“ ეწოდა, კარგათ ხარობს ასეთი პოლიტიკა და უამრავია რიცხვი ასეთი ზე პოლიტიკოსების, რომლებიც წვრილ ბურჟუაზიულ რწყილს სოციალისტურ აქლემს აშობინებენ.

მაგალითად, ვინ არ იცის თუ რა დამოკიდებულების ძაფები იყო გაბმული ჩვენი კუთხის მწყსთა და რუსეთის კონტრ-რევოლიუციის მეთაურთა შორის? დამოკიდებულების—ხან პირდაპირის და უშუამავლოსი, ხან კი აქ მოკალათებული ევროპის იმპერიალისტთა შუაკაცობისთვის? ეკატერინოდარში ბ. გეგეჭკორი 1918 წ. ენკენისთვის დამლევ რიცხვებში ეფიცება „პატივცემული“ სარდლებს მოხალისეთა არმიისას გენ. ალექსეევს, დენიკინს და მათ ამალას: თუმცა სხვა და სხვა „სუბიექტიური“ მიზნებით, მაგრამ ჩვენც და თქვენც ერთ წერტილში ვსცხებთ; ოღონდ სოჭის ოლქი დაგვითმეთ დროებით და ჩვენი თანამშრომლობა რუსეთის ბოლშევიკების წინააღმდეგ შეტევაში უტეხი იქნება, რადგან ბოლშევიზმი მომასწავებელია როგორც ჩვენდამი, ისე თქვენდამი მტრულად განწყობილ ძალისო; დენიკინის შეკითხვაზე, ბ. გეგეჭკორი იხქარის უპასუხოს პირჯვრის წერით და ფიცით: „ჩვენში ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლა დაუზოგველია. ჩვენ ყველა საშუალებით, რაც კი ჩვენს განკარგულებაშია, ვსრესავთ ბოლშევიზმს... და მე ვფიქრობ, რომ ამ მხრივ ჩვენ უკვე მოგეცით ისეთი დამამტკიცებელი მაგალითები, რომლებიც თავის თავად ღაღადებენო“... (იხ. მენშევიკების გამოცემა: „Документы и матеріалы по внешн. полит. Закавк. и Грузии“, გვ. 400—3). დუშეთის, სამეგრელოს, ლეჩხუმის მაზრებში და სხვ. დაქცეული სისხლით თავი მოიწონა და დენიკინის გულის მოგება განიზრახა დემოკრატიის მინისტრმა!

არ გასულა ამის შემდეგ დიდი ხანი, რომ იგივე დენიკინი, ახლა უკვე გენ. ალექსეევის მოადგილე, საქართველოს ღობეს მოადგა და დაპირებული კეთილმეზობლობა და თანამშრომლობა მოითხოვა. ვის არ ახსოვს ბაქოს მუშების ... და ქართველ მენშევიკებისადმი წინადადება: ამიერკავკასიის მუშათა ყრილობის მოწვევის შესახებ დენიკინის შავი ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლის მოსაწყობად? ვის არ ახსოვს ისიც, რომ მენშევიკებმა არჩიეს დენიკინის მფარველ ანგლოზებთან, ინგლისის გენერლებთან ფარული მოლაპარაკება-ვაჭრობა, რის შემდეგ, მუშა-გლეხების ყრილობის მაგიერ, ციხის კარები გააღეს და ბოლშევიკებით აავსეს. სამაგიეროთ მიიღეს დემარკაციული ხაზი დენიკინის სამეფოს გასწვრივ, და ვალდებულება დენიკინთან „კოოპერაციისა“, ე. ი. თანამშრომლობისა. ნუ თუ ისიც არ ახსოვს ვისმეს, თუ როგორ მოაკალათეს გენ. ლიახოვი განოვის ქუჩაზე, სადაც მან მოხალისეთა ჯარის ნაწილების შედგენა იწყო ოფიციალურად, აშკარათ, ვივესკიან ბიუროში? ან და გენ. ბარათოვის „მისსიის“ მუშაობა დაავიწყდა ვისმეს? ძნელი დასაჯერებელია. მაგრამ ამ ბოლო ხანებში ფართო გასავალი მიეცა სულ სხვა ზღაპარს: საქართველოს პერმანენტურ, განუწყვეტლივ ომში იყო დენიკინთანო!

უფრო გავრცელებული კია მეორე გვარი ლათაია: ჩვენ არცერთ მებრძოლ ბანაკს არ ვეკედლებოდით, ჩვენთვის არც დენიკინი იყო მისაღები და არც საბჭოთა რუსეთიო. ალბათ ამ მეორე ტიპის გულმავიწთაგანი უნდა იყოს ბ. ალ. დგებუაძე, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი, რომელსაც მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის შეხვედრისას აი როგორი ოქრო სიტყვები გადმოუბნევია: „საქართველოს დემოკრატიას არას დროს არ გადაუხვევია სოციალისტურ გზისთვის. მან არა ერთხელ უკუაგდო გერმანიის და ინგლისის მთავარსარდლების მოთხოვნილებანი, რომლებიც არ შეეფერებოდა მის სოციალისტურ სინდისს. საქართველო შიმშილს განიცდიდა, როდესაც მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელი როტმისტრი ბერგი პურს დაგვპირდა, თუ კი ნებას მივცემდით, რომ მოხალისეთა რაზმები შეედგინათ ჩვენს მიწაწყალზე. მაგრამ ჩვენ უარი ვუთხარით და გადავწყვიტეთ: უმალ შიმშილისაგან დავიხოცნეთ, ვიდრე ნებას მივსცემდით ჩვენში შეეკრიბათ მუშათა და გლეხთა მთავრობის საწინააღმდეგო ძალები“. („ერთობა“, № 212). ოქრო-სიტყვებია, ანუ უკეთ: ასეთი იქნებოდა, რომ... ერთი მისხალი სიმართლე მაინც იყოს ჩამარხული მათში. ვინაიდან, ლიახოვს და ბარათოვს ერთი მარცვალი პური არ შემოუტანიათ მგონი თბილისში, მარა აქედან მაინც აგზავნიდენ ეშელონებს, კარგათ გამოწყობილებს. არ ვიცით მართლა ასეთი პასუხი მიიღო როტმისტრმა ბერგმა, და თუ მიიღო—სახელდობ როდის: როცა საბჭოთა ჯარი ყუბანის ოლქში შემოვიდა, და ბ. ურატაძე შარვალში ჩაკერებულ მანდატით მოსკოვში გაემგზავრა, თუ უფრო ადრე?

აგრეთვე ბ. ბ. ჩხიკვიშვილი რუხაძეები რომ თერგისა და ყუბანის ოლქში სტუმრობდენ, ბოლშევიკებისაგან აპირებდენ პურის მიღებას, თუ სწორედ როტმისტრ ბერგის მომავლინებელთაგან, და ასე სოციალისტური სინიდისის თუ არა, სოციალისტური კუჭის მაინც დამშვიდებას?

ან ეგებ ბ. ვაჩეიშვილი ემსახურებოდა ვრანგელის სამეფოში ამ სინიდისს?

ან ეგებ ამ სინიდისის დასაყვავებლად გაქრენ საქართველოს „მიწა წყლიდან“ დენიკინის გენერლები და ათასობით ჯარისკაცები, რომლებიც ვლადიკავკავის და გაგრის კარებით შემოვიდენ და ახლა კი ვრანგელის ჯარში სწორედ მუშების და გლეხების მთავრობას ესევიან? არა, „რუქას არაკებით“ დღეს უკვე შეუძლებელია სოციალისტ. სინიდისის გაწმენდა: რაც ჩაწერილია ისტორიის ფურცლებზე, მას ვერ ამოშლის ფუჭი ფიცი, თუნდა ვანდერველდეს თანადასწრებით. პასუხისგება სხვა მოწმის თუ მსაჯულის თანადასწრებით მოხდება.

## ადგილობრივი პრესა.

გაზ. „ერთობა“ და „საქართველო“ ხან და ხან ერთმანეთს შეეკამათებიან. რა აქვთ საკამათო და სადავიდარაბო ამ ყველაფერში შეხმატკბილებულ ორგანოებს? ეს იმდენათ კამათი არ არის, რამდენათაც ერთმანეთის წამოძახება, ერთნაირათ დამნაშავეების მიერ საზიარო ბოროტებაში ერთმანეთის გამოტეხა. ახლაც ეს დარბაისელი გაზეთები ერთმანეთს ათრევენ—არა შენ უფრო გიყვარს ევროპის იმპერიალისტები და არა შენო. ამაზეა ნათქვამი—ყვავმა ყვავს წასძახა, შე ყვანჩალაო. „ერთობა“ ასე იჯერებს გულს მისი ამფსონის მხილებით:

> „საქართველომ“ თავის მფარველობის ქვეშ დაიყენა ყველა ის იმპერიალისტები, რომლებიც ჩვენში ყოფილან და რომლების აქ ყოფნა „საქართველოს“ მესვეურებს ვინ იცის რა იმედებს არ უღძრავდა სოციალისტებთან ბრძოლაში გამარჯვებისათვის“.

იმპერიალისტების აქ ყოფნა თუ „საქართველოს“ მესვეურებს მხოლოთ იმედებს უღძრავდა, „ერთობის“ მესვეურებს მან ყველა იმედები განუხორციელა. მხოლოთ მათი წყალობაა, რომ „ერთობელები“ დღეს ქვეყნის სათავეში არიან წამოსკუპებულნი. ეს ისე ცხადია, რომ საბუთების ძებნაც არა გვჭირდება. გაიხსენოს „ერთობამ“ ის სამადლობელი ადარესი, რომლითაც მისმა პარტიამ მიმართა ყვითელ ინტერნაციონალს, სადაც გერმანელი კაცი-ჭამია იმპერიალისტები დიდი ქება-დიდებით დახასიათებული არიან როგორც ქართველი ხალხის მხსნელნი და მფარველნი. გერმანელი იმპერიალისტები ისე ჩამოსვენენ ისტორიის ასპარეზიდან, რომ არსად და არავისგან, გარდა ქართველი მენშევიკებისა, ისინი უზომო ზიზღისა და სიძულვილის მეტს არაფერს ღირსებიან. მენშევიკების ეს უმაგალითო გათახსირება და ლაქიობა ერთათ ერთი შემთხვევაა მთელ დედამიწის ზურგზე და მან განცვიფრებაში მოიყვანა თვით გერმანელ იმპერიალისტთა საკუთარი კუდები და ლაქიები, კაუტსკები და კომპ. ინგლისელ იმპერიალისტებსაც ხომ არა ნაკლები ხალისით უგორავდეს ფეხებში ჩვენი მენშევიკები და ყელგამოწევით ემუდარებოდენ აქ დარჩენას, როდესაც ისინი იძულებული იყვნენ აქედან აბარგებულიყვნენ. მაგრამ რა საჭიროა ყველა ამ საგმირო საქმეების ჩამოთვლა, როცა ეს გუშინდელი ამბავია და ყველას კარგათ მოეხსენება „ერთობას“ ახლა მონება სხვას უკიჟინოს თავისი ცოდვები, მაგრამ მოაგონდა, რომ ამ ცოდვებში ყველაზე მეტი დამსახურება მას მიუძღვის და ვითომ აქ არაფერიაო, წარბ-შეუხრელი განაგრძობს თავისს ბოროტებათა გამომზეურებას. ის სწერს:

> „მართალია ის, რომ განსაც და „ერთობასაც“ უწერია იმის შესახებ, რომ (საქართველოში) „იმპერიალისტური“ (!) ევროპის წარმომადგენლების ყოფნა სასარგებლო იყო. ამას ჩვენ ახლაც არ უარყოფთ“...

თუ არ უარყოფთ, სხვას რაღას უკიჟინებთ—იმპერიალისტებისათვის გუნდრუკის კმევაში ჩვენც უნდა ჩაგვითრიოთ. ჩაუთრეველათაც თქვენ სხვებზე ადრე იმყოფებით ამ ფეროხულში და თავსაც მშვენივრათ გრძნობთ. აზრ-დაკარგული „ერთობა“ თავს ველარ უყრის თავის ნათქვამს, და უთავბოლოთ ღერღავს და როშავს, რაც პირზე მოადგება. აი ნახეთ, რა შეუდარებელ გამჭრიახობას იჩენს გაზეთი იმპერიალისტთა შეფასებაში:

> „...მარა არც იმას ვყოფთ უარს, რომ მათ (იმპერიალისტები) აინტერესებდა არა იმდენათ საქართველო და მისი ინტერესები, არამედ, პირველ ყოვლისა, ის მიზნები, რომელსაც თვითონ ისახავდენ საქართველოში.“

გამოდის, რომ იმპერიალისტებს ჯერ („პირველ ყოვლისა“) თავისი მიზნები აინტერესებდათ დ შემდეგ საქართველო. ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო. მოდი და უმტკიცე ამ ჭკუის კოლოფებს, რომ ევროპის იმპერიალისტებს „პირველ ყოვლისა“ კი არა, მარტოთ მარტო თავისი მიზნები აინტერესებდა. საქართველო მათ შესაჭმელათ უნდოდათ და მისი კეთილ დღეობა მათ სრულიათ არ აინტერესებდა. მხოლოთ „ერთობას“ შეუძლია ასე წარმოიდგინოს საქმე: რაკი იმპერიალისტთა წყალობით „ერთობელები“ საქართველოს თავზე დაასკუპდენ და ეს დასკუპება მათ ქვეყნის კეთილ დღეობათ მიაჩნიათ, მაშასადამე იმპერიალისტები მართლა ზრუნავდენ საქართველოზე. ვაი საქართველოს ბრალი თქვენისთანა ჭირისუფლების ხელში!

## საბჭოთა რუსეთის პრესა.

### „ნუ აქებ დილას საღამომდის“.

„საფრანგეთის მევახშეები ზეიმით ინაწილებენ სოდარს და სამოსელზეც კენჭს ჰყრიან. მათ ჰგონიათ, რომ ამ შემთხვევაში, საბჭოთა რესპუბლიკა მათ ხელშია. მათი წრიალი არ თავდება: მარშალმა რიფორმა, მოაგვარა რა თავისი საქმეები ბუხარესტში, ბელგრადში წავიდა. საფრანგეთის დიპლომატია ცდილობს ახალი ანტიბოლშევიკური ბლოკი შექმნას პოლონეთისგან, რუმინიისგან და

უნგრეთისგან. ყოველმხრივ, სადაც გავლენა აქვს საფრანგეთის ხიშტს და ლუ იდორს, (ფულს) საფრანგეთის იმპერიალისტები გააწხლებული უბრახუნებენ ფეხებს, რათა გამოიწვიონ ქვეყნებიდან ახალი ლეგიონები ჩვენს წინააღმდეგ.

აქა იქ მათი ცდა გამარჯვებით გვირგვინდება. ბელგიის მთავრობამ განაცხადა, რომ „შექმნილ მდგომარეობის გამო“ იგი ნებას რთავს თავის ტერიტორიაზე იარაღების და ამუნიციის გადატანაზე პოლონეთისთვის. მაგრამ ამ მთავრობაში შედიან ხომ „სოციალისტები“, როგორც, მაგ., ვანდერველდე და დესტრე, მეორე ინტერნაციონალის წევრები, რომლებმაც ახლახან რუსეთს და პოლონეთს შორის წარმოებულ ომში თავისი ნეიტრალიტეტი აღიარეს, და აგრეთვე—თითქო მზათ არიან შეებრძოლონ მსოფლიო იმპერიალისტების ყოველ სამხედრო მზადებას.

შექმნილ მდგომარეობის გამო—აი საქმეც აქ არის—დიპლომატები ანგარიშს უწევენ მხოლოდ „მომხდარ ფაქტს“. ვრანგელის დროებითი გამოცოცხლებამ და პოლონეთის ფრონტზე ჩვენი ჯარების უკან დახევამ შექმნეს ახალი „მდგომარეობა“, რომლის გამო შიშვლდება ბურჟუაზიის ნამდვილი გრძნობები საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობაში. თითქმის ინგლისის მთავრობაც-კი, რომელსაც თვალყურს ადევნებს ინგლისის მუშები, და რომელიც აქამდის აძაგებდა საფრანგეთის ცეცხლის წამკიდებლების გაუმართლებელ ნაბიჯებს, ახლა იცვლის კილოს და მილიერანის პროვოკაციას ემორჩილება. საფრანგეთის პრესა ირწმუნება, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ უარს განვაცხადებთ პოლონეთთან „ღირსეულ ზავის“ შეკვრაზე, ე. ი. თუ ჩვენ პანებს არ დაუთმობთ ყოველმხრივ, მოკავშირეები მზათ არიან მიმართონ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ რეპრესიულ ზომების მთელ რიგს: გააძლიერებენ ბლოკადას, გაგზავნიან საზღვაო ექსპედიციას დანციგში რუსეთის წინააღმდეგ, გააერთიანებენ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთანხმებული სიმხედრო მოქმედებისთვის პოლონეთის ყველა მეზობელ სახელმწიფოებს (ალბათ—ბალტიის ზღვის პირველ სახელმწიფოებს, უნგრეთს და რუმინიას). იგივე პრესა გვატყობინებს, რომ კოპენგაგენში მოსულა ინგლისის ბევრი სამხედრო ხომალდი.

ჩვენი მტრების ზეიმობა ნაადრევია. დიდი სახელმწიფოების ბედი პატარა შეტაკებებით თუ ბრძოლებით არ გადაწყდება.

ჩვენს დროებითი აქა-იქ ფრონტებზე დაბრკოლებები, წარმოადგენენ მხოლოდ დიდ კოლონიალური ბრძოლის ცალკე ეპიზოდებს; ამ ბრძოლის დასასრული—მშრომელთა გამარჯვებაა და არამც და არამც ბურჟუაზიული ხროვის. საფრანგეთის იმპერიალისტებს ამ ჟამათ უკვე შეუძლიათ დარწმუნდენ, რომ მათი იმედები ასჯერ უნიადაგო აღმოჩნდა. ვრანგელის დესანტები შეიძლება განადგურებულათ ჩაითვალოს, ყირიმის მთავარ მიმართულებით კი წითელი ჯარები ავიწროვებენ მას, მიიწევენ პერეკოპისკენ.

პოლონეთის ფრონტზე ჩვენი უკან დახევა შეწყვეტილია და ზოგიერთ პუნქტებში საბჭოთა ჯარები უკვე შეტევაზე გადადიან. საბჭოთა ფრონტები შეუდრეკელია, ვინაიდან თვით საბჭოთა ზურგია შეუდრეკელი. ეს ცუშურ გლეხური ზურგი ყოველს შესაძლებელს და შეუძლებელს მოახერხებს ფრონტისთვის. წარმოებულ მსოფლიო დრამაში უკანასკნელი სიტყვა ჯერ კიდევ არ თქმულა. ამ ჟამათ მხოლოთ ანტრაქტია გამოცხადებული და მას მოყვება ახალი მოქმედება, რომელიც უეჭველათ რევოლიუციის გამარჯვებით და მის მტრების განადგურებით დამთავრდება.

და ამისთვის რუსეთის და მასთან მთელი ქვეყნის პროლეტარიატი იმოღვაწეებს.

ი. სტეკლოვი.

1 სექტ. „იზვესტიას“ №-რი.

## ჯიდევ სტუმრებზე

ქართველ მენშევიკებს და მათ ავანჩავანებს დიდი ლხინი და ზეიმი აქვთ. მართებთ კიდეც მათ ეწვიათ დიდი სტუმრები, რომელთა მოქარგული ენა კიდევ უფრო დაუბნევს დავთარს საკმაოთ გამოშტერებულ მათ მიმყოლ მუშებს და გლეხებს.—ისიამოვნეთ ჩვენი პურმარილით და საქმე ეგაგვიკეთეთ თქვენს იმპერიალისტებთან, რომლებთანაც თქვენ აგრე კარგათ ხართ შეწყობილ-შეთანხმებული,—ეუბნებიან სტუმრებს. ესენიც არ დაამადლიან ამ არა-მცირე სამსახურს და მღვდელ-მთავრული ჩამოლოცვით გაშორდებიან მასპინძლებს: შეგარგოთ ღმერთმა თქვენი ტკბილი საჭმელ სასმელი, იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ ეგრე ბატონკაცურათ, ვიდრე მზე და მთვარე ქვეყანას ანათებენ.

მიუხედავათ სტუმართა მრავალ რიცხვოვანობისა მათ კიდევ აკლიათ ბევრი ძვირფასი ეკზემპლიარი. სად არიან შეიდემანი და ნოსკე და მათებრ სახელგანთქმული ევროპის სხვა სოციალშოვინისტები? გაზეთებიდან ვტყობილობთ, რომ მუშათა კლასის სხვა გამოჩენილ მოღალატეებსაც მისვლიათ მოწვევის ბარათი და მთლათ ეს „დელეგაციაც“ ძალით გადელეგატებულია საქართველოს მთავრობის მიერ. საქართველოს ელჩი ბერლინში ახმეტელოვი და არ ვიცით რა თანამდებობის მქონე ირ. წერეთელი მოწვეულთა გარდა კიდევ იპატიჟებენ პირველი—ბერნშტეინს და მეორე—ჰენდერსონს. აი რა დიდ საქმეს აკეთებენ საზღვარგარეთ საქართველოს რწმუნებულები, რომელთა რიცხვი და შემადგენლობა ალახმა უწყის. ხოლო ყველამ უწყის, რომ ამ მოსაქმე ლაშქარს ხმარდება საქართველოდან გასული სავალიუტო საქონელი, რომელიც წასული ბევრი გვინახავს და დაბრუნებული კი არც ერთი გროში.

საყურადღებოა ბერნშტეინის პასუხი. ისიც იწვის და დნება საქართველოს სიყვარულით, მაგრამ ამ ხანათ უარს აცხადებს სტუმრობაზე და მოუცლელობას იმიზეზს. მართლაც და სადა სცალია საქეიფოთ და საზეიმოთ ბურჟუაზიულ გერმანიას, რომელიც სულსა ღაფავს ანტანტის მძიმე ხუნდების ქვეშ. ბერნშტეინი დიდი კაცია და მარტო საზეიმო, სადეკორაციოთ გერმანია მას ვერ შეელევა. ზეიმის სანაცვლოთ მანაც რამე ხელშესახები ღირებულება უნდა მიუტანოს თავის ხაზეინს—ბურჟუაზიულ გერმანიას მისი ნახვით გაბედნიერებული ქვეყნიდან. მერე ვინ დაანებებს მას ამ ღირებულების მოხმარას? ხომ შხამათ ამოადენს ანტანტა ყოველ მის „კეთილშენაძენ“ სიკეთეებს. მართალია, ჩვენი შავი ქვის მთავარი მუშტარი ვერმანია იყო, მარა ამხანათ მას ამისთვის აღარა სცხელა.

მომავალის იმედი გერმანიასაც აქვს და ბერნშტეინსაც, ამიტომ ბერნშტეინი მხოლოთ ამ ხანათ აცხადებს უარს აქ სტუმრობაზე. თავის ყვითელ ატესტატს კი წინდაწინ აძლევს ის მის საყვარელ საქართველოს სოციალდემოკრატიას. „დე, უ ცლმძღვანელოს მან იმის ბედს, ქართველი ხალხის საკეთილდღეოთო,“ ამ სიტყვებით ათავებს ბერნშტეინი თავის წერილს.

ამნაირათ, ბერნშტეინი ვერ ეცილება დღეს ანტანტის „სოციალისტებს,“ რომლებიც აქ უეჭველია, რაღაც საქმეებს აპახრაკებენ. სოციალისტური ფართი ფურთი ტუტუცი ხალხის თვალის ასახვევათ, ხოლო იდუმალათ კაბინეტებში თავისი ბურჟუაზიის სასარგებლოთ მსუქანი საქმეების მოპახრაკება—ასეთია „სოციალისტური დელეგაციის“ საქმიანობის მთელი აზრი და მნიშვნელობა. იყვირეთ, გაკოტრებულო ინტერნაციონალისტებო, ძმობა-ერთობაზე!.

Ты скажи мнѣ, гадина, сколько дадено?

**მესამე ინტერნაციონალი ეს დიადი შეთქმულებაა პროლეტარებისა მჩაგვრელების წინააღმდეგ. მასში მონაწილეობენ მილიონები; ის ეყრდნობა ათეულ მილიონებს.**

# ინტერნაციონალის გარშემო

**კომუნისტურ ინტერნაციონალის მე-2 კონგრესი მოსკოვში.**

(გაგრძელება იხ. „ახ. კომ.“ № 46)

**მეოთხე სხდომა** (26 ივლისი)

სხდომა იხსნება ნაციონალურ-კოლონიალური საკითხის გარჩევით.

პირველი მომხსენებელია ამხ. ლენინი, რომელიც კომისიის სახელით მოკლე მოხსენებას აკეთებს.

### ამხ. ლენინის სიტყვა

ამხანაგებო! მე განვსაზღვრავ ჩემს მოხსენებას მხოლოდ მოკლე შესავალით და შემდეგ ამხ. მარინგი ჩვენი კომისიის ყოფილი მდივანი წარმოგიდგენთ დაწვრილებითი მოხსენებას იმ ცვლილებებზე, რომლებიც გავაკეთეთ ჩვენს თეზისებში. მის შემდეგ სიტყვას აიღებს ამხ. როი, რომელმაც ფორმულიროვკა უყო დამატებითი თეზისებს. ჩვენმა კომისიამ ერთხმათ მიიღო, როგორც პირველდაწყებითი თეზისები ცვლილებებით, ისე დამატებითიც. ამ რიგათ ჩვენ შევსძელით ერთსულოვნათ გადაგვეჭრა ყველა მნიშვნელოვანი საკითხები. ახლა კი გავაკეთებთ რამდენიმე მოკლე შენიშვნას.

**ჩვენი თეზისების ძირითადი იდეა.**

უპირველესათ, რა არის ჩვენი თეზისების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, ძირითადი იდეა? განსხვავება დაჩაგრულ და დამჩაგვრელ ხალხებს შორის. წინააღმდეგ მე-2 ინტერნაციონალისა და ბურჟუაზიულ დემოკრატიისა ჩვენს ხაზს ვუსვამთ ამ განსხვავებას. პროლეტარიატისა და კომუნისტურ ინტერნაციონალისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, იმპერიალიზმის ხანაში კონკრეტულ ეკონომიურ ფაქტების აღნიშვნას და ყველა კოლონიალურ და ნაციონალურ კითხვების გადაჭრის დროს არა აბსტრაქტულ დებულებებიდან გამოსვლას, არამედ კონკრეტულ სინამდვილის მოვლენებიდან.

**იმპერიალიზმის დამახასიათებელი თვისება.**

იმპერიალიზმის დამახასიათებელი თვისება მდგომარეობს იმაში, რომ მთელი მსოფლიო, როგორც ჩვენ ვხედავთ ამას, დაყოფილია ამ ჟამათ ორათ. ერთს შეადგენენ აუარებელი დაჩაგრული ხალხები, მეორეს დამჩაგვრელ ხალხთა უმნიშვნელო რიცხვი, რომლის ხელშია კოლოსალური სიმდიდრე და ძლიერი სამხედრო ძალა. დიდი უმრავლესობა, რომელიც შეადგენს მილიარდზე მეტს, ყოველ შემთხვევაში დაახლოვებით $1^1/_4$ მილიარდს, თუ კი მივიღებთ მთელი დედა-მიწის მცხოვრებთა რაოდენობას $1^3/_4$ მილიარდათ, ე. ი. დედა-მიწის მცხოვრებთა 70 პროც. ეკუთვნის დაჩაგრულ ხალხებს, რომლებიც იმყოფებიან პირდაპირ კოლონიალური დამოკიდებულებაში, ანდა განაპირა კოლონიალურ სახელმწიფოებს, როგორც, მაგალითად, სპარსეთი, ოსმალეთი, ჩინეთი, ანდა მსხვილი იმპერიალისტები სახელმწიფო არმიების მიერ დამარცხების გამო ხელშეკრულების ძალით ჩავარდენ მათგან დამოკიდებულებაში. განსხვავების ეს იდეა, ხალხთა დაყოფის მჩაგრულებათ და დამჩაგვრელებათ გატარებულია ყველა თეზისებში არა მარტო პირველში, რომელიც გამოვიდა ჩემი ხელმოწერით და დაიბეჭდა წინათ, არამედ ამხ. როიას თეზისებშიაც. უკანასკნელი დაწერილია ინდოეთის და ინგლისის სხვა მსხვილი ხალხების მდგომარეობის თვალთა ხედვის ისრით, და ამაში მდგომარეობს მათი უმთავრესი მნიშვნელობა ჩვენთვის.

**იმპერიალისტების ბრძოლა საბჭოთა მოძრაობის წინააღმდეგ.**

ჩვენი თეზისების მეორე სახელმძღვანელო აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ახლანდელ მსოფლიო მდგომარეობის დროს, იმპერიალისტურ ომის შემდეგ, ხალხთა ურთიერთ დამოკიდებულება, სახელმწიფოება, მთელი მსოფლიო სისტემა განისაზღვრება იმპერიალისტურ ნაციების პატარა ჯგუფის ბრძოლით საბჭოთა მოძრაობის და საბჭოთა სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლის სათავეში რუსეთი დგას, და აგრეთვე ყველა სხვა საბჭოთა სახელმწიფოების წინააღმდეგაც, რომლებმაც შესძლეს თავიანთი იმპერიალისტური ჩაგვრის დამხობა. თუ ჩვენ ამას სახეში არ ვიქონიებთ, ვერ დავსვამთ სისწორით ვერც ერთ ნაციონალურ ანუ კოლონიალურ საკითხს, თუ გინდ ლაპარაკი იყოს მსოფლიოს ყველაზე უფრო შორეულ კუთხეზე. მხოლოდ ამ თვალთსაზრისზე დადგომით შესძლებენ კომუნისტური პარტიები სისწორით დასვან ყოველი პოლიტიკური საკითხი, რომელიც შეეხება განათლებულ თუ ჩამორჩენილ ქვეყნებს, და პასუხი გასცენ მას.

**ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობა.**

მესამეთ, მე მინდოდა განსაკუთრებით ხაზი გამესვა კითხვისთვის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობის შესახებ ჩამორჩენილ ქვეყნებში. სწორედ ამ საკითხმა გამოიწვია რამდენიმე უთანხმოება. ჩვენ ვდაობდით იმის შესახებ სწორი იქნება თუ არა პრინციპიალურად და თეორეტიულად განვაცხადოთ, რომ კომუნისტური ინტერნაციონალი და კომუნისტური პარტია მხარს უნდა უჭერდეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობას ჩამორჩენილ ქვეყნებში, და ბოლოს ერთხმად მიეღოთ იმ დასკვნამდი, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობის ნაცვლად ვილაპარაკოთ ნაციონალისტურ-რევოლიუციონური მოძრაობაზე.

**პროლეტარულ პარტიების დამოკიდებულება ნაციონალისტურ რევოლიუციონურ მოძრაობასთან.**

ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ყოველი ნაციონალისტური მოძრაობა შეიძლება იყოს მხოლოდ ბურჟუაზიულ დემოკრატიული, ვინაიდან მცხოვრებთა უმთავრესი მასსა ჩამორჩენილ ქვეყნებში შესდგება გლეხობისაგან, რომელიც ბურჟუაზიულ კაპიტალისტური ურთიერთობის წარმომადგენელია. უტოპია იქნებოდა გვეფიქრა, რომ პროლეტარული პარტიები, თუ კი შეიძლება საზოგადოთ აღორძინდენ ასეთ ქვეყნებში, შესძლებდენ გაეტარებიათ კომუნისტური ტაქტიკა და კომუნისტური პოლიტიკა ამ ჩამორჩენილ ქვეყნებში ისე, რომ არ იქნებიან განსაზღვრულ დამოკიდებულებაში გლეხთა მოძრაობასთან და რომ მხარი არ დაუჭირონ მას საქმით.

**ბურჟუაზიულ დემოკრატიული და ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობა.**

მაგრამ აქ შემოგვედავენ, რომ, თუ კი ჩვენ ვილაპარაკებთ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობაზე, მაშინ წაიშლება ყოველი განსხვავება რეფორმისტულ და რევოლიუციონურ მოძრაობის შორის. ხოლო ეს განსხვავება უკანასკნელ დროს გამოიხატა სრული სიაშკარავით ჩამორჩენილ და კოლონიალურ ქვეყნებში, ვინაიდან იმპერიალისტური ბურჟუაზია მთელი ძალ-ღონით ცდილობს ჩანერგოს რეფორმისტული მოძრაობა დაჩაგრულ ხალხებშიაც. გამყვლეფელ და კოლონიალურ ქვეყნების ბურჟუაზიებს შორის მოხდა ერთგვარი დაახლოვება, ასე რომ ძალიან ხშირათ და თითქმის უმრავლეს შემთხვევებშიაც, დაჩაგრულ ქვეყნების ბურჟუაზია, თუმცა მხარსაც უჭერს ნაციონალურ მოძრაობას, მაგრამ იმავე დროს იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან თანხმობით, ე. ი. მასთან ერთად, იბრძვის ყველა რევოლიუციონურ მოძრაობის და რევოლიუციონურ კლასების წინააღმდეგ. კომისიაში ეს დაურღვევლათ იყო დამტკიცებული, და ჩვენ ერთად ერთ სწორშეხედულებათ ჩავთვალეთ, მიგვეღო ეს განსხვავება მხედველობაში და თითქმის ყოველგან შეგვეცვალა გამოთქმა „ბურჟუაზიულ-დემოკრატიული“ „ნაციონალისტურ-რევოლიუციონური“-თ.

**რეფორმისტული პარტიები ჩამორჩენილ ქვეყნებში.**

ამ შეცვლის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ, კომუნისტებმა, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დავუჭიროთ მხარი და კიდევაც დავუჭერთ ბურჟუაზიულ განთავისუფლებელ მოძრაობებს კოლონიალურ ქვეყნებში, როდესაც ეს მოძრაობები ჭეშმარიტად რევოლიუციონურია, როდესაც მათი წარმომადგენლები არ შეგვიშლიან ჩვენ ხელს რევოლიუციონურათ აღვზარდოთ და შევაკავშიროთ გლეხები და გაყვლეფილთა ფართო მასსები. თუ კი არ იქნება არც ეს პირობები, მაშინ კომუნისტებმა ამ ქვეყნებში უნდა იბრძოლონ რეფორმისტულ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელსაც ეკუთვნიან მე-2 ინტერნაციონალის გმირებიც. რეფორმისტული პარტიები უკვე არსებობენ კოლონიალურ ქვეყნებში, და ხანდისხან მათი წარმომადგენლები სოციალისტებსაც და სოციალ დემოკრატებსაც კი უწოდებენ თავიანთ თავს. ზემოხსენებული განსხვავება გატარებულია სხვა ყველა თეზისებში, და მე ვფიქრობ, რომ ამის წყალობით ჩვენი თვალსაზრისი უფრო სწორეთაა ჩამოყალიბებული ახლა.

**საბჭოთა სისტემა წინა-კაპიტალისტურ ქვეყნებში**

შემდეგ მე მინდოდა კიდევ რამდენიმე შენიშვნა გამეკეთებია გლეხთა საბჭოების შესახებ. რუსეთის კომუნისტების პრაქტიკულმა მუშაობამ კოლონიებში, რომლებიც წინათ ცარიზმს ეკუთვნოდა, ისეთ ჩამორჩენილ ქვეყნებში, როგორიცაა თურქესტანი და სხვ., დაგვისვა ჩვენ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვაწარმოვოთ კომუნისტური ტაქტიკა და პოლიტიკა წინა-კაპიტალისტურ პირობებში, ვინაიდან ამ ქვეყნების უმთავრესი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ იქ ბატონობენ ჯერ კიდევ წინა-კაპიტალისტური ურთიერთობანი, და ამიტომ იქ ლაპარაკიც ზედმეტია წმინდა პროლეტარულ მოძრაობაზე. ამ ქვეყნებში თითქმის სრულიად არ არის სამრეწველო პროლეტარიატი. და, მიუხედავათ ამისა, ჩვენ იქაც ავიღეთ ჩვენს თავზე და კიდევაც უნდა ავიღოთ ხელმძღვანელების როლი. ჩვენმა მუშაობამ დაგვანახა, რომ ამ ქვეყნებში გვიხდება კოლოსალურ სიძნელეთა გადალახვა, მაგრამ ჩვენი მუშაობის პრაქტიკულმა შედეგებმა დაგვანახა აგრეთვე, რომ მიუხედავათ ამ სიძნელეთა, შეიძლება გაუღვიძოთ მასსებს მისწრაფება დამოუკიდებელ პოლიტიკურ აზროვნობისა და დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოქმედებისაკენ იქაც, სადაც არც კი არის თითქმის პროლეტარიატი. ეს მუშაობა უფრო ძნელი იქნებოდა ჩვენთვის, ვიდრე დასავლეთ ევროპის ამხანაგებისათვის, ვინაიდან რუსეთის პროლეტარიატი სახელმწიფო საქმეებშია ჩაფლული. გასაგებია სავსებით, რომ გლეხებს, რომლებიც ნახევრად ფეოდალურ დამოკიდებულებაში არიან, მშვენივრათ შეუძლიათ შეითვისონ საბჭოთა ორგანიზაციის იდეა და განახორციელონ ის საქმით. ცხადია აგრეთვე, რომ დაჩაგრულ მასებს, რომლებიც იყვლიფებიან არა მარტო სავაჭრო კაპიტალის, არამედ ფეოდალების და სახელმწიფოს მიერაც ფეოდალურ საფუძველზე, შეუძლიან მოიხმარონ ეს იარაღი, ორგანიზაციის ეს ფორმა თავისი პირობებისთვისაც. საბჭოთა ორგანიზაციის იდეა მარტივია და შეიძლება მოხმარებულ იქნას არა მარტო პროლეტარულ, არამედ გლეხურ ფეოდალურ და ნახევრათ ფეოდალურ დამოკიდებულებებში. ჩვენი გამოცდილება ამ დარგში არ არის ჯერ კიდევ ძალიან დიდი, მაგრამ დებატებმა კომისიაში, რომლებშიაც მონაწილეობას ღებულობდა კოლონიალურ ქვეყნების რამდენიმე წარმომადგენელი, დაგვიმტკიცა ჩვენ სრული დაურღვევლობით, რომ კომუნისტურ ინტერნაციონალის თეზისებში აუცილებელია მითითება იმაზე, რომ გლეხთა საბჭოები, გაყვლეფილთა საბჭოები, გამოსადეგი საშვალებაა არა მარტო კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის, არამედ წინა-კაპიტალისტურ ქვეყნებისთვისაც, რომ კომუნისტურ პარტიების და იმ ელემენტების, რომლებიც ემხრობიან მათ, უსათუო მოვალეობაა გლეხთა საბჭოების იდეის პროპაგანდა ყოველგან, როგორც ჩამორჩენილ ქვეყნებში, ისე კოლონიებში; და იქ ისინი უნდა ცდილობდენ, რამდენადაც კი პირობები ხელს უწყობენ, მოაწყონ მშრომელი ხალხის საბჭოები.

**მოწინავე ქვეყნის პროლეტარიატი უნდა დაეხმაროს ჩამორჩენილ მშრომელ მასსებს**

აქ ჩვენს თვალ წინ იშლება პრაქტიკულ მუშაობის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი დარგი. ჯერ კიდევ ჩვენი საერთო გამოცდილება ამ მხრივ არ არის მაინც და მაინც დიდი, მაგრამ ცოტ-ცოტათ ჩვენ დაგვიგროვდება სულ უფრო და უფრო მეტი მასალა. შეუძლებელია იყოს რაიმე დავა იმის შესახებ, რომ მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატს შეუძლია და კიდევაც უნდა დაეხმაროს ჩამორჩენილ მშრომელთა მასსებს, და რომ ჩამორჩენილ ქვეყნების განვითარება შეიძლება გამოვიდეს თავის ახლანდელ სტადიიდან მაშინ, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკების გამარჯვებული პროლეტარიატი ხელს გაუწვდის ამ მასსებს და შესძლებს დახმარება აღმოუჩინოს მათ.

ამ კითხვის შესახებ კომისიაში საკმაოდ გაცხოველებული დებატები წარმოებდა არა მარტო ჩემ მიერ ხელმოწერილ თეზისების გამო, არამედ კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მეტად ამხ. როიას თეზისების გამო, რომლებსაც ის დაიცავს აქ, და რომლებშიაც შეტანილი იქნა რამდენიმე შესწორება ერთხმათ.

### აუცილებელია თუ არა ჩამორჩენილ ქვეყნებისთვის განვითარების კაპიტალისტური სტად ის გავლა?

კითხვა დასმული იყო შემდეგნაირათ: შეგვიძლიან თუ არა ჩვენ ვიცნოთ სწორათ იმის მტკიცება, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების კაპიტალისტური სტადია აუცილებელია იმ ჩამორჩენილ ხალხებისთვის, რომლებიც ახლა თავისუფლდებიან და რომელ თა წრეშიაც ახლა, ომის შემდეგ, ემჩნევა მოძრაობა პროგრესისაკენ? ჩვენ ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი გავეცით. თუ რევოლიუციონური ძლევა-მოსილი პროლეტარიატი აწარმოებს მათში სისთემატიურ პროპაგანდას, ხოლო საბჭოთა მთავრობები კი დაეხმარებიან მათ ყველა საშუალებებით, რაც კი მათ განკარგულებაში იქნება, მაშინ მართალი არ იქნება დაუშვათ, რომ განვითარების კაპიტალისტურ სტადია აუცილებელია ჩამორჩენილ ხალხებისათვის ყველა კოლონიებში და ჩამორჩენილ ქვეყნებში ჩვენ უნდა შევქმნათ არა მარტო მებრძოლთა დამოუკიდებელი კადრი, პარტიული ორგანიზაციები, ვაწარმოვოთ არა მარტო პროპაგანდა გლეხთა საბჭოების მოსაწყობათ და ვისწრაფოდეთ შევუგუოთ ისინი წინა-კაპიტალისტურ პირობებს, არამედ კომუნისტურმა ინტერნაციონალმა უნდა დააწეროს და თეორეტიულად დაასაბუთოს ის, რომ ყველაზე უფრო წინ-წაწეულ ქვეყნების პროლეტარიატის დახმარებით ჩამორჩენილ ქვეყნებს შეუძლიათ გადავიდენ საბჭოთა წყობილებაზე და განვითარების განსაზღვრულ საფეხურებით კომუნიზმზე და კაპიტალისტური სტადია თავიდან აიცილონ.

თუ რა საშუალებებია ამისთვის საჭირო—წინ,დაწინ თქმა შეუძლებელია. ამას დაგვანახვებს ჩვენ პრაქტიკული გამოცდილება. მაგრამ გარკვევითაა დაწესებული, რომ ყველაზე ჩამორჩენილ ხალხების ყველა მშრომელ მასსებთან ახლოა იდეა, რომ ეს ორგანიზაციები, საბჭოები, შეგნებულ უნდა იქმნან წინა კაპიტალისტურ საზოგადოებრივ წყობილების პირობებთან და რომ კომუნისტური პარტიის მუშაობა ამ მიმართულებით დაუყოვნებლივ მთელ მსოფლიოში უნდა იქნეს დაწყებული.

**მუშაობა ჯარებში.**

მე კიდევ მინდოდა აღმენიშნა კომუნისტურ პარტიების რევოლიუციონური მუშაობა არა მარტო მათ საკუთარ ქვეყნებში, არამედ იმ ჯარებშიაც, რომლებითაც სარგებლობენ ნაციების მყვლეფელები, რათა მორჩილებაში იყოლიონ თავიანთი კოლონიების ხალხები.

ამხ. კველჩი ბრიტანიის სოციალისტურ პარტიიდან ლაპარაკობდა ამის შესახებ ჩვენ კომისიაში. მან აღნიშნა, რომ ინგლისის მუშა ღალატად ჩასთვლიდა დამონებულ ხალხებისთვის დახმარებას მათი აჯანყების დროს ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ.

### მე 2 ინტერნაციონალის პარტიების სიტყვა და საქმე.

მართალია ის, რომ ჯინგოიტურათ და შოვინისტურათ განწყობილი ინგლისის და ამერიკის მუშათა არისტოკრატია წარმოადგენს დიდ საფრთხეს სოციალიზმისათვის და უძლიერეს ყავარჯენს მე-2 ინტერნაციონალისთვის, რომ იქ ჩვენ საქმე გვაქვს უდიდეს ღალატთან ბელადების და იმ მუშების მხრით, რომლებიც ეკუთვნიან ბურჟუაზიულ ინტერნაციონალს. მე 2 ინტერნაციონალშიაც არჩევდენ აგრეთვე კოლონიალურ საკითხს. ბაზელის მანიფესტიც ლაპარაკობდა აგრეთვე ამის შესახებ სრულიად აშკარათ. მე-2 ინტერნაციონალის პარტიები დაგვპირდენ, იმოქმედებდენ რევოლიუციონურათ, მაგრამ ნამდვილ რევოლიუციონურ მუშაობა და დახმარებას გაყვლეფილ და დაჩაგრულ ხალხებისთვის მათი აჯანყების დროს მჩაგვრელების წინააღმდეგ ვერ ვხედავთ მე-2 ინტერნაციონალის პარტიებში, და მე ვფიქრობ, აგრეთვე იმ პარტიების უმრავლესობაშიაც, რომლებიც გამოვიდენ მე-2 ინტერნაციონალიდან და სურთ შემოვიდენ მე 3 ინტერნაციონალში. ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ყველასათვის გასაგონათ და ეს არ შეიძლება დარღვეულ იქნას. ვნახავთ, შეეცდებიან თუ არა ამის დარღვევას.

ყველა ეს მოსაზრებები საფუძვლათ ლაედო ჩვენს რეზოლიუციებს, რომლებიც ეჭვს გარეშეა, მეტის-მეტად გრძელია, მაგრამ მე მრწამს, რომ ისინი მაინც სასარგებლო იქნება და ხელს შეუწყობს ნამდვილ რევოლიუციონურ მუშაობის განვითარებას და ორგანიზაციას ნაციონალურ და კოლონიალურ კითხვებში, რაშიაც მდგომარეობს ჩვენი უმთავრესი მიზან-დანიშნულება.

ამხ. ლენინის სიტყვის შემდეგ კომისიის მდივანი ამხ. მარინგი შესწორებებს და დამატებებს აქვეყნებს. რომლებიც შეტანილ იქნა კომისიაში ამხ. ამხ. ლენინის და როიას თეზისებში. შემდეგი სიტყვა ეძლევა ამხ. როიას.

(შემდეგი იქნება).

## ბიულეტენი პრესბიუროსი

რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

### დაუღალელათ.

**მოსკოვი**, 20 სექტემბერი. რუსეთის სამხედრო ტყვეებმა, რომლებიც გერმანიიდგნ დაბრუნდენ, დაადგინეს--ყოველგვარი დახმარება გაუწიონ საბჭოთა ძალა-უფლებას. „ჩვენ გვწამს, ამბობენ ისინი,—რომ შორს არ არის მთელს ქვეყანაში მშრომელთა სრული გამარჯვების დღე. ყოველივე ცოდნას და გამოცდილებას, რაც მივიღეთ ტყვეობაში, ჩვენ მივმართავთ შრომისა და თავისუფლების სამეფოს შესაქმნელათ".

### დამსახურებისამებრ.

**მოსკოვი**, 20 სექტემბერი. ნოვოხოპიორის სამაზრო პროფესიონალურმა კავშირმა საზოგადო სამუშაოზე დააყენა ყველა ის საბჭოთა მოსამსახურეები, რომლებიც შინ თეთრ გვარდიელებს გაყვნენ და ახლა-კი თავიანთ ადგილებში დაბრუნდენ.

### მუშები სასურსათო ფრონტზე

**მოსკოვი**, 20 სექტ. ელიზავეტოგრადში უპარტიო მუშათა კონფერენციამ მობილიზაცია უყო ყველა თავის წარმომადგენლებს სასურსათო მუშაობისათვის.

### ჭირნახულის მომარაგების საქმე კარგათ სრულდება

**მოსკოვი**, 20 სექტ. პენზის გუბერნიაში ჭირნახულის მომარაგების საქმე წარმატებით მიმდინარეობს. დაგროვილია ასი ათასი ფუთი ჭვავი, 137 ათასი ფუთი შვრია; 15 მილიონი კვერცხიდან გატანათ მზათაა 8 მილიონი, 15 მილიონ ფუთი ზეთიდან მზათაა ათი ათასი ფუთი.

### მუშათა საბჭოები რომში

**ნიკოლაევი**, 19 სექ. რომიდან იტყობინებიან, რომ იქ მოწყობილია სამ კომისიისაგან შემდგარი მუშათა საბჭოები: პირველი კომისია შედგება შრომის კომისრებისაგან, რომლებსაც ევალებათ თვალ-ყურის დევნება წარმოების კანონიერ სვლას;მეორე ტეხნიკური დირექციაა რომელიც შესდგება ყოფილი დირექტორებისაგან,5 ტეხნიკისაგან, განყოფილებების ↄ სათადარიგო მაღაზიების უფროსებისაგან, მესამე საადმინისტრაციოა, რომელსაც ანგარიშის წარმოება ევალება. მუშები მასალების აღწერას შეუდგენ და წარმოების განაყოფიერების გასაძლიერებლათ ადმინისტრაციის დახმარებით გამოიმუშავეს სადისციპლინო წესდება. წესდების თანახმათ, მუშები, რომლებიც არ აასრულებენ თავის მოვალეობას, გასამართლებული იქნება ზარმაცობისთვის მაშინის და მასალების გაფუჭებისათვის, სიგნალზე მუშაობაზე გამოუსვლელობისთვის და დანიშნულ დრომდი მუშაობის დათხოვნისათვის, მუშები ისჯებიან ერთი დღის ხელფასის დაკარგვით. რადგან მწარმოებლები ერთთავად უარს აცხადებენ მუშების ჯამაგირების გადახთაზე, მუშათა საბჭოებს თვით განუზრახავთ დააკმაყოფილონ მუშები დამზადებულ საქონელში აღებული ფულებიდან.

### იტალიის სოციალიზმის კარებთან.

**მოსკოვი**, 19 სექტემბერი. იტალიის მუშებმა რომის და ტურინის შუა რკინის გზა თავის ხელში აიღეს. მათ გადაწყვიტეს გზაზე მოძრაობა საკუთარი საშვალებებით აწარმოონ. ვაგონებს წითალი დროშები ამშვენებენ. სადგურებს წითელგვარდიელები იცავენ.

### იტალიის ამბები

**ნიკოლაევი**, 19 სექტემბერი. რომიდან მოსული ცნობებით მილანში, ტურინში, გენუიაში მუშებმა ქარხნები დაიკავეს და გამაგრდენ. პოლიცია ქარხნებში შესვლას ცეეცადა და იარაღების და ყუმბარების წართმევა მოინდომა, მაგრამ მუშებმა ბომბებით და არტილერიის ცეცხლით უკუაქციეს. რკინის გზის გასწრივ გაიყვანეს მუშებმა ელექტრონის ტოკი, ფაბრიკა-ქარხნებს მუშების წითელი არმია იცავს. რადგან მუშებს ნედლი მასალა უთავდებათ. მემარცხნე სოციალისტები ურჩევენ მუშებს საჭირო მასალების საწყობებიც ხელთ აიღონ.

### კომუნისტური ახალგაზრდიბის კავშირის ყრილობა.

**ნიკოლაევი**, 19 სექტემბერი. შედგა ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის საგუბერნიო ყრილობა.

### წითელ არმიელებისთვის.

**ნიკოლაევი**, 19 სექტემბერი. „წიგნის კვირა"-ში წითელ არმიელებისათვის მოჰკრიბეს 12 ათასზე მეტი წიგნი.

### საარჩევნო აგიტაცია.

**ნიკოლაევი**, 19 სექტემბერი. ყველა სამხედრო ნაწილებში საგიტაციო საარჩევნო მუშაობა ინტენსიურათ სწარმოებს ქალაქის საბჭოს ასარჩევათ.

### მღელვარება პოლონეთის მუშებს შორის.

**მოსკოვი**, 20 სექტემბერი. ვარშავაში საალყო წესების მთელი სიმკაცრე მუშების წინააღმდეგ არის მიმართული. მუშათა შორის ბევრი დაატუსაღეს, განსაკუთრებით მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელები და მუშათა ორგანიზაციის წევრები, ვარშავის ციხე სავსეა ტუსაღებით. ხშირათ წამებასაც მიმართავენ ხოლმე ტუსაღების წინააღმდეგ. ყველა ამაების გამო მღელვარება მუშებში კი დევ უფრო ძლიერდება.

### რევოლიუციონური პარტია ინდოეთში

**მოსკოვი**, 20 სექტემბერი. ინდოეთის კომუნისტური ჯგუფის დელეგატი „პრავდაში" სწერს: ინდოეთის რევოლიუციონურმა პარტიამ ენერგიული მოქმედება გაალვივა. ინდოეთის გარეთ ინდოეთის რევოლიუციონერები ცემენ ბროშურებს და გაზეთებს. პროფესიონალური კავშირები ინდოეთში რევოლიუციონურ ხასიათს ატარებენ.

ეკონომიურათ და პოლიტიკურათ ინდოეთი ყველა ქვეყნებზე უფრო დაჩაგრულია. ყველა ეს იწვევს ხალხში რევოლიუციონურ განწყობილებას და ამ განმათავისუფლებელ მოძრაობას თითქმის ინდოეთის ბურჟუაზიაც თანაუგრძნობს. საბჭოთა რუსეთის შესახებ ცნობებს მხოლოდ ინგლისის გაზეთები იძლევიან, რაც ყველა წრეების ყურადღებას იპყრობს.

რევოლიუციის პერსპექტივები იმდენათ საიმედოა, რომ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, როგორც კი იფეთქებს რევოლიუცია ევროპაში, ინდოეთს მყისვე რევოლიუციონური ტალღები მოიცავს.

გაფიცვები მთელს მხარეში ვითარდება და განსაზღვრული პოლიტიკური ხასიათს ატარებს. დისციპლინა მასსებში დიდებულია.

## უკანასკნელი ცნობები

21 სექტემბერი.

### სამხ. ოპერატ. რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოენსავეტის'' საველე შტაბისა.

**პოლონეთის ფრონტი**

**გროდნოს რაიონში** მოწინააღმდეგე დიდი ძალებით გადმოვიდა შეტევაზე ფრონტზე მე-50 ვერსზე. გრძელდება სასტიკი ბრძოლა.

**დაბა სვისლოჩის რაიოში**, ვოლკოვისკის დასავლეთით, ცვალებადი ხასიათის ბრძოლებია. ხელში ჩავიგდეთ ერთი ტყვიის მფრქვეველი.

მოწინააღმდეგის ცდა მდ. გორინის და ტუჩინზე გადასვლის ჩვენ მოვიგერიეთ.

**ვოლიჩინის და გუსიატინის** რაიონებში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს პოზიციები მდინ. ზბრუჩის ნაპირებზე.

**ყირიმის ფრონტი.**

ალექსანდროვის რაიონში ჩვენი ნაწილები განაგრძობენ სასტიკ ბრძოლებს მოწინააღმდეგის ცხესონებთან.

### სფორცის რადიო-ცნობა იტალიის ამბებზე.

**რომი**, 21 სექტ. ბუდაპეშტში იტალიის მისიას ატყობინებენ: მდგომარეობა უცვლელადაა. პრემიერი რომში შეთანხმებაზე მოლაპარაკებებისათვის სამრეწველო მუშების დელეგატებს იწვევს.

### პოლონეთთან მოლაპარაკება

**რიგა**, 19 სექტ. იოფეს და დომბროვსკის დელეგაციების წარმომადგენლების შეხვედრა შაბათს მოხდა. კონფერენციის პირველი სხდომა დანიშნულია 21 სექტემბრისთვის.

### რევოლიუციონურ კომუნისტების რ. კ. პ. თან გაერთიანება.

**მოსკოვი**, 20 სექტემ. თანახმად მე-3 ინტერნაციონალის მეორე კონგრესის დადგენილებისა (რევოლიუციონური კომუნისტებს, რომლებიც 1918 წელს გამოეყო სოც.-რევ. პარტიას), ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რევოლიუციონურ კომუნისტების რუსეთის კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანების შესახებ.

### ბუხარაში.

**პოლტარაცკი**, 18 სექტემ. ბუხარის ემირის ჯარებმა, განიცადეს რა დამარცხება კარქიმთან, რომელიც ძველი ჩარჯუის სამხრეთით 50 ვერსზეა, ამუდ-დარიის მარჯვენა ნაპირების გასწვრივ უკან დაიხია.

### ჩეხო სლოვაკები პოლონეთს ბოიკოტს უცხადებენ.

**რიგა**, 20 სექტემ. ჩეხო-სლოვაკიიდან პოლონეთში გადააქვთ კონტრაბანდით სპეციალურ ვაგონებში სამხედრო მასალები. ჩეხო-სლოვაკიის სოციალისტებმა გადასწყვიტეს ბოიკოტი გამოუცხადონ პოლონეთს და დააკავონ მისთვის გაგზავნილი სამხედრო ბარგები.

## ახალი ამბები

— ქალაქის საერთო საავადმყოფო კასის გამგეობა იწვევს ყველა მონაწილეთა და მათი ოჯახის წევრთ უფასო ლექციაზე ხოლერის შესახებ, ხუთშაბათს ამ თვის 23-ს, საღამოს 6 საათ. მუშათა კლუბის შენობაში. (პლეხ. პროსპ. 123).

ლექციის დემონსტრაცია მოხდება დიოგრამების და მიკროსკოპის საშვალებით. ლექციას წაიკითხავს დოქტორი—რატნერი. ლექციის თეზისები: ა) საერთო შემეცნება ინფექციაზე 2. მიკროსკობების როლი. 3. ორგანიზმის როლი დაავადმყოფებაში და ფიზიოლოგიური წონა-სწორობის მნიშვნელობა. 4. სახადი—როგორც საზოგადო მოვლენა. ბ) საზოგადოთ ხოლერის გაცნობა. 1 რა იწვევს ხოლერას (კოხის ვიბრიონები.) 2. წყარო და გზები დაავადმყოფებისა. გ) მოკლეთ გაცნობა ხოლერის კლინიკისა. 1. ბრძოლა ხოლერის წინააღმდეგ. 2. საშვალებები, რომლითაც შეიძლება მიიიღოთ მხოლოდ ხოლერის წინააღმდეგ. გამგეობა სთხოვს ყველა მონაწილეებს აუცილებლად დაესწროს ლექციას.

— **ვანდერველდე სტარკთან** 18 სექტემბერს საქართველოში რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლის მოადგილობის შემსრულებელს სტარკს ეწვია მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის წევრი ვანდერველდე და ჰქონდა მასთან ხანგრძლივი საუბარი.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თფილისის კომიტეტებისადმი

## განცხადება

გაზეთ „ერთობის" 213 № ში მოთავსებულია თიანეთის გვარდიის შტაბის წევრის ბ. ესიკა ჯორბენაძის წერილი, რომელიც ჩირქს ცხებს ჩემს პიროვნებას, სანამ სიმართლე გამოირკვევოდეს დროებით თავს ვანებებ გაზ. „ახალი კომუნისტის" რედაქტორობას. ცენტრალურ და თფილისის კომიტეტებს კი ვსთხოვ სასწრაფოთ დანიშნოს საგამომძიებლო კომისია ჩემი წარსულის გამოსაკვლევათ.

**დიმიტრი ჯორბენაძე.**

ქ. თფილისი 21 სექტ. 1920 წ.

## ღია წერილი

**თიანეთის გვარდიის შტაბის წევრს ბ. ესიკა ჯორბენაძეს**

გაზეთ „ერთობის 213 №-ში მოთავსებულია თქვენი წერილი, რომელიც ნაკარნახევია თქვენი აპეკუნების მიერ. ვინაიდან მე უადგილოთ მიმაჩნია გაზეთის ფურცლებზე თქვენი აბდა-უბდის გარჩევა, ამიტომ გიწვევთ სამედიატორო სამართალში. მედიატორების დასახელების ვადას გაძლევთ ერთ კვირას. საქმე უნდა გაირჩეს თფილისში, განაჩენი გამოცხადებული იქნება ადგილობრივ ყველა გაზეთებში. და თუ ერთ კვირის განმავლობაში არ გამომყობით, მაშინ მე უფლებას ვიტოვებ, რომ გიწოდოთ შესაფერი სახელი.

**დიმიტრი ჯორბენაძე.**

ქ. თფილისი 21 სექტ. 1920 წ.

P. S. ვთხოვ ეს წერილი გადაბეჭდოს გაზ. „ერთობამ". **დ. ჯ.**

## მუშათა ცხოვრება.

ჩვენში.

### მენშევიკების ეკონომიური პოლიტიკა და მუშათა მაგიდა.

ცდება, ვინც ფიქრობს, რომ მენშევიკების ეკონომიური პოლიტიკა განისაზღვრება მარტო სატარიფო პალატით,— მათ დაარსეს მეორე დაწესებულება, ეგრეთ წოდებული, „მუშათა მაგიდა". ამ „მუშათა მაგიდას" შესცქერის მთელი მშრომელი მასსა საქართველოს რესპუბლიკისა, ეგებ იმან მაინც ალლო აუღოს ჩვენს ეკონომურ სიღატაკესო; მაგრამ ოცნება ქარწყლდება, როდესაც სინამდვილე სულ სხვას ღაღადებს. წარმოიდგინეთ, აქაც მენშევიკური სწორი გეზია საჭირო: ერთს ქალაქში აარსებენ „მუშათა მაგიდას", მეორეში არა—მაგალითად ქ. ფოთში და სენაკის მუშა-მოსამსახურეებისათვის, რაა მიზეზი? ან და რა დააშავა სამტრედიამ? მუშა-მოსამსახურეები სენაკის მაზრაში განიცდიან უკიდურეს მდგომარეობას—მათთვის არ არსებობს არც „მუშათა მაგიდა", არც სურსათი-სანოვაგე.

აიღეთ სოფლის მასწავლებლები—ეს ნიკოლოზის დროის დევნილნი, მენშევიკების დროის მშიერ ტიტველნი, ჯამაგირებს იღებენ არა უმეტეს ორი ფუთი სიმინდის ფასისა თვეში, და აბა მოდი იცხოვრე ასეთ ზღაპრულ სიძვირეში— აიღეთ სამაზრო ერობის გამგეობის მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობა, ესენი ხომ აუტანელ პირობებშია. ჯამაგირს ორ თვეში ერთხელ თუ მიიღებენ, სურსათზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია; ყველა განიცდის კრიტიკულ მდგომარეობას და მშიერ მწყურვალე ჩარჩ ვაჭრების შემცქერე ძლივს ლაფავს სულს—აბა იცხოვრეთ, როდესაც გირვანქა ყველი სენაკში 120 მანეთია, სიმინდის ფქვილი —1600 მანეთი, გირვანქა საპონი 300 მან., პურს და შაქარს ვინ დაეძებს ან ვის ეღირსება. არც სურსათი, არც ჯამაგირი თავის დროზე, არც ტან საცმელი, აი ასეთ პირობებში იმყოფება სენაკის მაზრის ყველა მუშა-მოსამსახურენი... ვინ არის მათი შემბრალე? თვითონ ისინი!

ისინი უნდა შეკავშირდენ, და ახსოვდენ, რომ მათი განთავისუფლება კაპიტალის ბრჭყალებისაგან უნდა მოხდეს მათივე ხელით...

Звезда.

10 სექტემბერი 1920 წ.

საზღვარ გარეთ

### ყველა ქვეყნის პროფესიონალურ კავშირებს.

ამხანაგებო!

ყველა ქვეყნის პროფესიონალური მოძრაობის ზრდამ, რაც გამოწვეულია ისტორიაში ჯერ არ გაგონილ გაჭირვებებით, რომელიც ომის მიზეზით თავს დაატყდა საერთაშორისო პროლეტარიატს, მთელი ქვეყნის მუშების წინაშე დაყენებით და მწვავეთ დააყენა პროფესიონალური კავშირების საერთაშორისო შტაბის დაარსების საკითხი. ჩვენი კლასიური ბრძოლის ყოველდღიური ფაქტები ამტკიცებს, რომ გარეშე საერთაშორისო ბრძოლისა ხსნა არაა. ახლა, კლასი დგას კლასის წინააღმდეგ. საერთაშორისო ბურჟუაზიის ყველა სასიცოცხლო ძალები, ყველა მათი საშვალებები და რესსურსები, ყველაფერი ეს ერთათაა თავმოყრილი ერთ საერთაშორისო კლასიურ ორგანიზაციაში. ბურჟუაზიას აქვს თავისი შტაბი ხალხთა ლიგის სახით, მას აქვს ხელში მთელი უზმრმაზარი აპარატი თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოებისა იმისთვის, რომ პირველ საჭიროებისთანავე, როგორც კი დადგება სოციალური საშიშროება, მოიხმაროს ის ყველა თავისი ძალების და საშვალებების გამოსაყენებლათ. საერთაშორისო კაპიტალის კლა-

სიური შეგნებისა და შეკავშირების ხარისხი ჩვენ დავინახეთ რუსეთისა და ჰუნგრეთის მაგალითებზე. როცა საბჭოთა ჰუნგრეთი ჩაღრჩობილ იქნა ყველა ქვეყნის მტაცებლების ერთსულოვანი იერიშებით, ამ ქვეყნების მყვლეფელების სიხარულს და ზეიმს საზღვარი არ ქონდა, და თუ საბჭოთა რუსეთი განადგურებული არაა აქნამდის, ეს საერთაშორისო კაპიტალის ბრალი კი არაა—ეს მისი უბედურებაა. მარა ბურჟუაზია ძლიერია არა მარტო თავისი კლასიური თვითშეგნებით, შეკავშირებით და ღრმა შეგნებით იმისი, რომ წარმოებული ბრძოლა საერთაშორისო ხასიათისაა, არამედ ის კიდევ უფრო ძლიერია ფართო მასსების ჩამორჩენილობით, მათი კლასიური ჩამოუყალიბებლობით და შეუგნებლობით და უმთავრესათ მით, რომ ის ემყარება მუშათა ორგანიზაციებს მუშებისავე წინააღმდეგ ბრძოლაში· ეს გასაშტერებელია, მაგრამ ფაქტია.

და მართლაც, რას აკეთებდენ ომიანობის დროს პროფესიონალური კავშირები, როგორც დიდის, ისე პატარა სახელმწიფოებისა? როგორ ანხორციელებდენ ისინი მაღალ და დიად მცნებებს კლასიური სოლიდარობისა და პროლეტარული ძმობისა? პროფესიონალური კავშირები უმეტეს შემთხვევაში სამხედრო პოლიტიკის ბურჯნი იყვენ თავის მთავრობებისათვის, ისინი თავისი ქვეყნის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ნაძირალებთან ერთათ მოქმედებდენ, აღვივებდენ რა მუშათა მასებში დაბალ შოვინისტურ ინსტიქტებს. და თუ ომი ასეთი ხანგრძლივი გამოდგა, თუ ჩვენ შორის აღარ სჩანან მილიონები ჩვენი ძმებისა, თუ ევროპა გადაქცეულია უზარმაზარ სასაფლაოთ და ხალხის მასსები სასოწარკვეთილებამდისაა მისული, ამაში დანაშაულობისა თვალსაჩინო ნაწილი მიუძღვის მუშათა მოძრაობის იმ ხელმძღვანელებს, რომლებმაც გასცენ მასსები და დიადი ლოზუნგის მაგიერ: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!, აკურთხეს და გადმოისროლეს ახალი ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, ელიტეთ და ანადგურეთ ერთმა მეორე!“

და აი, იმ ხალხმა, რომლებიც რამდენიმე წლების განმავლობაში მონა მოსამსახურენი იყვენ თავისი მთავრობების, რომელნიც მთელ თვის ენერგიას ერთი მეორის ჟლეტას ანდომებდენ, ამ ხალხმა დააწყო მათ მიერ განადგურებული პროფესიონალური კავშირების ინტერნაციონალის შექმნა, ბერნში და ამსტერდამში შეიკრიბენ გამობრძმედილი მებრძოლები ბურჟუაზიის ინტერესებისათვის. ბ.ბ. ლეგინი, უდეგასტი, ჟუო, ეპილტონები, გომპერსები და სხვ. და ხანგრძლივი ნაციონალისტური შეხლაშემოხლისა, ბრალსა სდებდენ რა ერთი მეორეს შოვინისტობაში, შექმნეს პროფესიონალური კავშირების საერთაშორისო ფედერაცია. რაა საფუძველი ამ ფედერაციისა? როგორია მისი სამოქმედო პროგრამა? როგორ უყურებს ეს საერთაშორისო ორგანიზაცია გამწვავებულ სოციალურ კონფლიქტების ეპოქას, რომელსაც ჩვენ განვიცდით დღეს? როგორ ფიქრობს ის გამოსვლას იმ ჩიხიდან, რომელშიაც მოამწყვდია კაცობრიობა იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ? პასუხს ყველა ამ კითხვებზე ჩვენ ვპოულობთ იმაში, რომ პროფესიონალური კავშირების ფედერაციის სულის ჩამდგმელნი და ხელმძღვანელნი ამსტერდამში, ამავე დროს უბადრუკი შრომის ბიუროს მტაცებლურ ხალხთა ლიგის უმთავრესი მოღვაწეებია, რომელიც შემდგარია შეკავშირებული მწარმოებლების წარმომადგენლებისა, პროფესიონალური კავშირებისა და „ნეიტრალურ“ ბურჟუაზიულ მთავრობების წარმომადგენელთაგან! უმთავრესი დანიშნულება ამ ბიუროსი არის გაგრძელება და განმტკიცება კლასიური თანამშრომლობისა, რომელიც, როგორც ცნობილია, საფუძვლად უდევს ყველა ქვეყნების იმპერიალისტურ სამხედრო პოლიტიკას, რათა უფრო მოხერხებულად ყვლიფონ მუშები და დაუმონონ ისინი საერთაშორისო კაპიტალს.

აქედან კი ყველასთვის აშკარა და ნათელია, რომ ამსტერდამის ფედერაცია პროფესიონალური მოძრაობის იმ ყვითელი ხელმძღვანელების უბრალო შრომაა, რომელნიც განზრახ და მოფიქრებულათ გადავიდენ იმპერიალისტების მხარეზე და ცდილობენ ახლა, გამოიყენონ მუშათა მასსების ორგანიზაციული ძალა კაპიტალისტური საზოგადოების სასარგებლოთ, როგორც ამას ომის დროს შვრებოდენ. ორი პირდაპირ ერთი-მეორის მოწინააღმდეგე კლასების ასეთი არა-ბუნებრივი შეერთების ბუნებრივი შედეგია სრული უნაყოფობა, ყოვლად უნიჭობა ორივე ორგანიზაციისა,—ამსტერდამის ფედერაციისაც და შრომის საერთაშორისო ბიუროსიც, რომელიც ხალხთა ლიგასთანაა დაარსებული,—ამა თუ იმ სახით პასუხი გასცეს მუშათა კლასის აუცილებელ საჭიროებას, ვინაიდან ორივე ეს ორგანიზაცია ემსახურება მხოლოდ ბურჟუაზიის საარსებო ინტერესებს.

ასეთი უნაყოფობის გასაკვირვებელ მაგალითად შეიძლება ჩავთვალოთ საერთაშორისო ფედერაციის დამოკიდებულება საბჭოთა ჰუნგრეთთან და საბჭოთა რუსეთთან. პირველი ამათგანი ჩაახრჩვეს მის თვალწინ და უბრალო პროტესტიც არ განაცხადა მან ამისათვის. და თუ ახლა მან გადადგა სუსტი ნაბიჯი წინასწარ მოწყობილი ბოიკოტის გზით მოიყვანოს გრძნობაში ჯალათი ხორტი, რომელიც თავისი თეთრი ტერორის პოლიტიკით მეტის-მეტად მოურიდებლად ჩირქსა სცხებს კლასობრივი თანამშრომლობის იდეას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინვე კომპრომისებზე (დათმობაზე) წავიდეს ამავე ჯალათთან. საბჭოთა რუსეთის შესახებაც ასევე იქცევა ამსტერდამის ფედერაცია. მას ამდენხანს თავიც კი არ შეუწუხებია გარკვეულად და გაბედულად გამოეთქვა თავისი შეხედულება საბჭოთა რუსეთის შესახებ და პროტესტი მაინც გამოეცხადებია, რათა არავინ ჩარეულიყო რუსეთის შინაურ საქმეებში, თუმცა კარგათ იცის მან, რომ სწორედ ასეთი გაურკვევლობაა ხელსაყრელი და სასურველი ანტანტისათვის.

ამსტერდამის ფედერაციის ასეთი ყოფა-ქცევა მისი შემადგენელი ნაციონალური ნაწილების პოლიტიკის ლოღიკური დასკვნაა. გაერთიანებას, რომელიც შესდგება სოციალ-პატრიოტებისაგან და სხვა და სხვა ქვეყნების მუშათა ინტერესების გამყიდველებისაგან, არაფრის შექმნა და გაკეთება არ შეუძლია, გარდა საერთაშორისო კავშირის ღალატისა და გამცემლობისა.

მაგრამ მთელი ქვეყნის პროფესიონალურ მოძრაობას არ შეუძლია დაკმაყოფილდეს ამ ფაქტის მხოლოდ აღნუსხვით. სოციალური ბრძოლა მწვავდება. დიდი ხანია სამოქალაქო ომმა გადალახა ნაციონალური ჩარჩოები. ამ ორ მოწინააღმდეგე ქვეყნებს შორის წარმოებულ გაცხარებულ ბრძოლაში რევოლიუციონური კლასიური კავშირები იღებენ აქტიურ მონაწილეობას, და არც შეუძლიათ არ მიიღონ, მხარ და მხარ სხვა და სხვა ქვეყნების კომუნისტურ პარტიებთან ერთათ. თავის თავათ ცხადია, რომ პროფესიონალურ კავშირების ამსტერდამის ფედერაციას, რომელიც ხალხთა ლიგის დახმარე როლს თამაშობს, არ შეუძლია იყოს ხელმძღვანელი ცენტრი რევოლიუციონურ-კლასობრივი პროფესიონალურ მოძრაობისათვის. ასეთი ცენტრი, ასეთი შტაბი უნდა შექმნილიყო ამსტერდამის ცენტრის საწინააღმდეგოთ და ის დაარსდა 15 ივლისს მოსკოვში რუსეთის, ინგლისის, იტალიის, ისპანიის, სამხრეთ სლავიის, ბულგარეთის, საფრანგეთის და ნაწილობრივ საქართველოს პროფესიონალურმა კავშირებმა· ამ შტაბის სახელწოდება „პროფესიონალურ და საწარმოვო კავშირების საერთაშორისო საბჭო“ რევოლიუციონური პროფესიონალური მოძრაობისა, ახალი გენერალური შტაბი, რომელიც უკვე 8 მილიონამდის წევრს აკავშირებს, იწყებს რა მოქმედებას, მოუწოდებს მთელი ქვეყნის კავშირებს გასწყვიტონ ყოველივე კავშირი მათთან, ვინც ბურჟუასთან შეთანხმებულ დამნაშაობითი პოლიტიკას აწარმოებს, და დამონებული კაცობრიობის განთავისუფლებისათვის შეუბრალებელი კლასობრივი ბრძოლის დროშის ქვეშ დადგენ. არა მშვიდობიანობა, არამედ ომი მოაქვს ყველა ქვეყნებს ბურჟუაზიისათვის პროფესიონალურ და საწარმოვო კავშირების საერთაშორისო საბჭოს. ჩვენი პროგრამაა—ძალადატანებითი დამხობა ბურჟუაზიისა, დამყარება პროლეტარიატის დიქტატურისა, შეუბრალებელი კლასობრივი ბრძოლა საერთაშორისო და ნაციონალური მასშტაბით და მჭიდრო გაუწყვეტელი კავშირი კომუნისტურ ინტერნაციონალთან.

ვისაც ჰგონია, რომ მუშათა კლასს შეუძლია ბურჟუაზიასთან მოლაპარაკებით და შეთანხმებით გადაწყვეტა სოციალური საკითხებისა; ვინც ფიქრობს, რომ ბურჟუაზია ნებაყოფლობით გადასცემს პროლეტარიატს ყველა საწარმოო იარაღებს და ფაბრიკა-ქარხნებს, მხოლოდ საკმარისია ამისათვის უმრავლესობა მოვიპოვოთ პარლამენტში; ვისაც მიაჩნია, რომ ძველი დამოკიდებულებების უდიდესი გარდატეხის დროს, როცა მთელი ქვეყნის ბედ-იღბალი წყდება, კავშირებს შეუძლია დარჩენ „ნეიტრალურად“; ვინც ქადაგებს და ავრცელებს ამ სასტიკი სამოქალაქო ომის დროს სოციალურ მშვიდობიანობას,—ყველა ამ ვაჟბატონებმა, რომლებიც მოთავეობენ პროფესიონალურ კავშირებს ამსტერდამის ფედერაციის სახით, იცოდენ, რომ ჩვენ ისინი მიგვაჩნია ჩვენ კლასობრივ მტრებათ და ვაწარმოებთ შეუბრალებელ ომს, როგორც მათ წინააღმდეგ, ისე მათ მიერ შექმნილ გაერთიანებების წინააღმდეგ.

პროფესიონალურ და საწარმოვო კავშირების საერთაშორისო საბჭო და პროფესიონალურ კავშირების ამსტერდამის ფედერაცია ბარიკადის სხვა და სხვა მხარეზეა. ერთი მხრით, სოციალური რევოლიუცია და, მეორე მხრით, სოციალური რეაქცია. პროლეტარისათვის, პატიოსანი რევოლიუციონერისათვის არჩევანი ძნელი ამოსაცნობი არაა.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!

გაუმარჯოს პროფესიონალურ და საწარმოვო კავშირების საერთაშორისო საბჭოს!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

**პროფესიონალურ კავშირების საერთაშორისო საბჭო.**

მოსკოვი, 1 აგვისტო, 1920 წელი.

# პროვინციის ცხოვრება.

## ს. სვირის ყოფილი სათემო გამგეობა და მათი საქმიანობა

ბევრი რამ დაიწერა და შეიძლება ბევრიც დაიწეროს აღნიშნულ სოფლის „მოღვაწეთა“ შესახებ, მაგრამ ის ნაკლი, რომელიც იმ სოფელში მომუშავეთ ქონდათ ვერ შეივსო. და აი ახლა მე მინდა გავაცნო მკითხველ საზოგადოებას კვინტენსენცია წარსული ცხოვრებიდან და რაც შესაძლებელი იქნება დავასურათო მათი ნამოღვაწარი.

დღიდან რევოლიუციისა სვირის გლეხობა გულის ფანცქალით ადევნებდა თვალყურს რევოლიუციის მსვლელობას და უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ცნობის მოყვარეობით უსმენდა ორატორთ, რომელნიც მათ დროგამოშვებით ევლინებოდათ ხოლმე.

პირველი უდიდესი საკითხი, რომელიც ამ დროს გლეხობას უტრიალებდა თავში, ეს იყო ომის საკითხი. ომმა მრავალი ნივთიერათ დააქვეითა, და მრავალი კი ნივთიერად აამაღლა, ჯიბეები დაიტენა და ზნეობრივათ კი გაათახსირა.

ომის გამო აყარებული მუშა-ხელი გაწვეული ჯარში, ჯერ კიდევ არ დაბრუნებული იყო. ამას მიუმატეთ ომის მიერ შექმნილი სიძვირე, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვა მშრომელ მასას და ადვილათ წარმოიდგენთ თუ რა უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდა გლეხობა.

მოსული ორატორები ყველა თავ-თავის პარტიაზე გაიძახოდენ და გლეხობისათვის ეს საკითხი სამუდამოთ ღიათ დარჩა.

დროთა მსვლელობამ გადალახა მრავალი ამდაგვარი საკითხები, იგი მიეცა დავიწყებას. შემდეგ ამისა წამოიჭრა მიწის საკითხი, რომელსაც გლეხობა დიდი ყურადღებით ეპყრობოდა.

მაგრამ ისედაც მახინჯი მიწის კანონი უფრო მეტათ იქმნა დამახინჯებული რაიონული მიწის კომისიისაგან. ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს, რადგან ამის შესახებ ბევრი რამ დაიწერა და ხსენებული კომისიის თავმჯდომარე მიწადმოქმედებების მინისტრის განკარგულებით პასუხის გებაში იქნა მიცემული, (თუცა მხოლოდ სიტყვით)

ერთი წლის წინათ არჩეულ იქნა სათემო ერობა. რას წარმოადგენს ეხლა ერობა? არაფერს. იმიტომ, რომ მას არაფრის გაკეთება არ ძალუძს. სათემო ერობის გამგეობა დააწვა მხოლოდ ზედმეტ ხარჯათ სოფელს. ეს დაწესებულება დღესდღეობით შეიძლება ჩაითვალოს პარაზიტათ, თუ კი ის არაფერს არ გააკეთებს. ერობის დანიშნულებაა რაც შეიძლება მეტი კულტურული საქმეების შესრულება. სრულიად წინააღმდეგს ვხედავთ დღეს, ერობის თავმჯდომარენი ხშირათ ერევიან ადმინისტრაციის საქმეებში, რით აიხსნება ეს, არ ვიცი, მხოლოდ ფაქტები კი ნამდვილია.

ბატონებო, თუ ხართ მოწვეული ადმინისტრაციის თანამდებობაზე, ადმინისტრაციის სახელწოდება ატარეთ და, თუ არა, თქვენ ნამდვილ დანიშნულებას მოკიდეთ ხელი.

სოფ. სვირში არავითარი კულტურული საქმე არ შესრულებულა. ერთადერთი, რომელიც ამ სოფლის პირველ საკითხად უნდა ჩაითვალოს. არის გზები, სკოლები, ხიდები და სხვა. რა გააკეთა ამ მხრივ გამგეობამ? არაფერი. მკითხველს მოეხსენება, რომ სოფელ სვირიდან არის გაყვანილი აჯამეთის სარწყავი არხი. ამ არხზე მრავალი ბოგირებია და აი ეს ბოგირები მთელი წელი ჩანგრეულია და არავინ ყურადღებას არ აქცევს. გზებზე და ხიდებზე ლაპარაკი ზედმეტია. ამ ბოგირების გამო გლეხები დიდ უნუგეშო მდგომარეობაში არის ჩავარდნილი, რადგან ყანებიდან სიმინდის გამოტანა სწორედ ამ ბოგირების საშვალებით ხდება.

გადავიდეთ ახლა ყოფილი გამგეობის თავმჯდომარის მოღვაწეობაზე. ყოფილი გამგეობის თავმჯდომარე ბ. ღვანიძე ყოფილ მონარქათ უნდა ჩაითვალოს: ვინც მას გაუწევდა წინააღმდეგობას, ის კონტრევოლიუციონერიც იყო, ანარხისტიც და ბოლშევიკიც.

მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხი წინააღუდგა მის გადაწყვეტილებას ამილახვარის სახლის შესყიდვის შესახებ, მან დაატუსაღებია რამოდენიმე პირი ¢ სამაზრო ერობას გაუგზავნა როგორც ანარქისტები“; მხოლოდ უკანასკნელმა ისინი გაანთავისუფლა.

მან დაატუსაღა და ერთი კვირა ამყოფა მაზრის მილიციის უფროსთან მიწის მუშა დ. წ—ძე „ანარქისტობისათვის“.

სოფელს გამოუცხადა სიმინდს მოგიტანთო, მოაგროვა ფული და სიმინდის მაგივრათ მიწიანი ქერი მიართვა ხალხს და ისიც 28 გ.—1 ფუთამდე, როდესაც ამის შესახებ საყვედური განუცხადა მოქ. ც—ძემ, ის დაატუსაღა როგორც „ანარქისტი“ და ქუთაისში გაგზავნა.

სოფლის სათემო ყრილობაზე უკუღმა ისმებოდა და ირჩეოდა საკითხი. სათემო ხმოსანთა ყრილობაზე, როდესაც გამგეობამ „დიდი ხნის შრომით დაქანცულმა“, გამგეობის რეორგანიზაციის საკითხი დასვა სოც.-რევ. ფრაქციის წარმომადგენელმა განაცხადა სარევიზიო კომისიის არჩევის საჭიროება, გამგეობის თავმჯდომარე წინააღმდეგ წავიდა წინადადებისა და როდესაც საქმე კენჭის ყრაზე მიდგა, გამგეობის წევრებმა წინააღმდეგ მისცეს ხმა (სამი ხმა) და ეს იმ დროს, როდესაც ერთი გამგეობის წევრი ხმოსანთა ყრილობის წევრიც არ გახლდათ. აბა დააკვირდით ბატონებო! გამოდის, რომ თვით გამგეობა უარყოფს თავის თავის რევიზიას, რაც რასაკვირველია დაუშვებელია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ერთობის კორესპონდენტი ბ. „სევ. კუნკული“ წერილში (ერთობა № 202) აღიარებს, რომ პარტიულ კრებაზე აირჩიეს ახალი გამგეობის თავმჯდომარე. სწორედ ასეა. ბატონებო, რა საჭიროა სათემო ხმოსანთა ყრილობა, სადაც სხვა ფრაქციების წარმომადგენლებიც ცდებიან, თუ თქვენ ირჩევთ და აყენებთ კიდევაც—ეს თვალთმაქცობაა. ბ. „ს. კუნკული“? სდუმს იმის შესახებ, თუ როგორ გაისტუმრეს ბ. ყოფილი თავმჯდომარე და მისი დამქაშები.

არც პასუხი, არც რევიზია. მოსთხოვენ კი პასუხს? ვნახოთ!

ბ. შაველაპირელი.

# მისალმება*)

ქალარა აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობავ! ჩვენ სამხედრო პირები № ნაწილისა მოგესალმებით თქვენ აღმოსავლეთის ხალხთა ავანგარდო და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას დასახული მიზნების განხორციელებაში. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ ევროპის პროლეტარიატის წარმომადგენელ ამხანაგებთან ერთად შეაერთებთ აღმოსავლეთის მრავალ მილიონიან ტანჯულ მასსას მე-3 კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, მთელი ქვეყნის მჩაგვრელების წინააღმდეგ საბრძოლველათ. ჩვენ გვწამს, რომ თქვენ გააღვიძებთ აღმოსავლეთის დამონებულ ხალხს და რუსეთის პროლეტარიატთან ერთად გამოიყვანთ ბრძოლის ველზე საერთაშორისო ბურჟუაზიის ტახტის დასამხობათ.

გაუმარჯოს აღმოსავლეთის მშრომელი ხალხს!

გაგიმარჯოთ თქვენ!

მონდობილობით **ნადოხორელი.**

14 სექტ. 1920 წ.

# პროტესტი.

ჩვენ სამხედრო პირები № ნაწილისა, გავიგეთ რა სომხეთის დაშნაკების ჯალათური მთავრობის მიერ ჩადენილი საზიზღარი საქმე ჩვენი საუკეთესო ამხანაგების დახვრეტის შესახებ, გამოვსთქვამთ სასტიკ პროტესტს და ვუცხადებთ ზიზღს სომხეთის მშრომელი მასსის სისხლის მსმელ ჟანდარმერიას. ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეწყვეტილი იქნას დევნა ჩვენი ამხანაგებისა და განთავისუფლებულ იქმნან სულ ყველა კომუნისტები ციხეებიდან. ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ შორს არ არის ის წითელი მნათობი ვარსკვლავი, რომელიც გამოანათებს სომხეთის მშრომელ ხალხზე და ნაკუწ ნაკუწად აქცევს ბ. დაშნაკელების მესვეურებს· თქვენ ერევნის ჯალათებო! არ გეგონოთ ის, რომ თქვენ თქვენი დაჩლუნგული მახვილით ჩააქრობთ სომხეთში კომუნიზმის ალი. არა, პირიქით თქვენი უსასტიკესი რეპრესიები უხილავს თვალს სომხეთის მშრომელი მასსას თქვენს სიმხეცეზე, ღალატობაზე და ჯალათობაზე, რაიც საშვალებას აძლევს თქვენს მიერ დამონებული სომხეთის ხალხს უფრო ჩქარი ნაბიჯით გასწიოს წინ და მოიყაროს თავი უძლეველი მე-3 მე კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. აი მაშინ ბ. მტარვალებო! თქვენ წარსდგებით სამსჯავროს წინაშე, სადაც, როგორც ხალხის მოღალატეს, მოგელით აუცილებლათ ყოვლად უსასტიკესი სასჯელი. ერევნის ჯალათებო! ცახცახებდეთ ხალხის წინაშე, ვინაიდან მოახლოვებულია თქვენი ჟამი.

და თქვენ კი, ჩვენო წამებულნო ამხანაგებო! თქვენ პირნათლათ შეასრულეთ თქვენი მოვალეობა ხალხის წინაშე და კიდევაც დაეცით მსხვერპლათ სომხეთის ყაჩაღ ჯალათების ხელებიდან. მაგრამ ჩვენ გაძლევთ მტკიცე ფიცს, რომ არამც და არამც ხელიდან არ გაუშვებთ იმ წითელ დროშას, რომელსაც თქვენ უკანასკნელი დღემდის მაღლა ატარებდით. და თუ საჭირო იქნა, კიდევაც დავეცემით მსხვერპლად მის ქვეშ. ჩვენ—თქვენგან ვისწავლეთ თუ როგორ უნდა სიკვდილი.

ჩვენო წამებულნო ამხანაგებო! თქვენ კიდევ რამდენიმე ხანი იქნებით ჩვენგან განცალკევებული, მაგრამ მალე მოვა ის დრო, როდესაც ჩვენი ამხანაგები თქვენს საყვარელი წითელი დროშებით ათასობით მოვლენ თქვენს ძვირფას საფლავზე და შეგამკობენ რევოლიუციონური პატივისცემით. წაუშლელი იქნება, ამხანაგებო თქვენი სახელი ისტორიის ფურცლებიდან. მშვიდობით, მშრომელი მასსის ინტერესების დამცველნო, მებრძოლნო, გმირნო და წამებულნო ამხანაგებო!

ამხანაგების მონდობილობით

**ნადოხორელი.**

# ჩვენი ფოსტა

**ამხ. ი. კაკაბაძეს.** წერილი „რელიეფები“ და სხვა მიღებული გვაქვს.

*) ეს მისალმება დამოუკიდებელ მიზეზების გამო დაგვიანებით იბეჭდება.

**რედ.**

**დრ. რედაქტორი: ა. ქურიძე.**